ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №1710080

ნომერი: AR1281872

თარიღი : 28.01.2015

გაცემის თარიღი : 10.02.2015

გაცნობის თარიღი : 11.02.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მეტროსადგურ "დიდუბის" მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნესტორ მიქატაძე პ/ნ 33001006000
- ოზურგეთი ს. მერია

ორგანიზაცია:
- დიდუბის ავტოვაგზალი კოდი: 202050699

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- სავაჭრო ობიექტები
  - პავილიონი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის

24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

# გადაწყვეტილება

თქვენი 2015 წლის 28 იანვრის AR1281872 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა კომისიის“ გადაწყვეტილებით ქ. თბილისის სხვადასხვა , ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ ტერიტორიებზე (გლდანის ტბის მიმდებარედ, თბილისის ზღვის მიმდებარედ, დიდი დიღმის მარცხენა მხარე, ლისის ტბის დასავლეთით, ინტენსიფიკაციის ქუჩის გასხვისების ზოლის, მოსკოვის პროსპექტსა და ბოგდან ხმელნიცკის ქჩებს შორის, წავკისსა და ტაბახმელის მიმდებარედ), მათშორის განცხადებაში მითითებულ, ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, მეტროსადგურ „დიდუბე’–ს მიმდებარედ არსებულ მიწის მიწის ნაკვეთთან (#01.13.03.051.011) მიმართებასიც მუშავდება განაშენიანების ე.წ „ჩარჩო–გეგმები“, რომლებიც განსაზღვრავს ამ ტერიტორიების ქალაქთმშენებლობითი განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებს, დაზუსტებულ ზონებს და ქვეზონებს, ძირითად სატრანსპორტო მაგისტრალებს, მათ მიმართულებებს კავშირებსა და კატეგორიებს. ჩარჩო გეგმის დამუშავებისას გათვალისწინებულ იქნება ამ ტერიტორიებზე და მათ შორის განცხადებაში მითითებულ ტერიტორიაზე არსებული ყველა მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ინტერესი.

ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4–13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული წესის „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ მე–8 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად „დედაქალაქის ქალაქგანვთარების მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავება ხდება ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც სამშენებლო მიწის ნაკვეთებისთვის სხვაგვარად შეუძლებელია გამოყენებისა და განაშენიანების რეგლამენტის დადგენა, აგრეთვე ამ წესებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

დღეის მდგომარეობით აღნიშნულ ტერიტორიაზე დამუშავებულია ჩარჩო–გეგმა (იხ. დანართი) რომელის მიხედვითაც უნდა დამუშავდეს განაშენიანების რეგულირების გეგმა რაც უნდა განიხილოს „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა საბჭომ“, რომლის წევრთა დადებითი რეკომენდაციების შემთხვევაში საკითხი გადაგზავნილ იქნება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დასამტკიცებლად.

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების მე–3 მუხლის 36–ე პუნქტის მიხედვიტ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები არის „პირობები, რომელტა დაკმაყოფილება აუცილებელია სამშენებლო საქმიანობის გასახორციელებლად კონკრეტულ სამშენებლო მიწის ნაკვეთზე, ამ პირობათა საფუძველზე დგება მშენებლობის განხორციელების დოკუმენტები“, გამომდინარე აქედან ზემოთაღნიშნული გეგმის დამუშავებამდე სამსახურო მოკლებულია შესაძლებლობას მითითებულ მიწის ნაკვეთზე გასცეს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.